

განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია/Ecology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პირველი ნაწილი: ეკოლოგიის მაგისტრი/MASTER OF ECOLOGY მეორე ნაწილი: კვლევის მაგისტრი ეკოლოგიაში/RESEARCH MASTER IN ECOLOGY
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ასოცირებული პროფესორი ნანი გვარიშვილი - gvarishvili.nana@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	პირველი ნაწილი - 60 ECTS მეორე ნაწილი - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>პირველი ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. <p>მეორე ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პირველი ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ღრმა თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, რომელიც შეძლებს, მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში; ✓ მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს კოლეგებთან ეფექტურ თანამშრომლობას, ურბანულ, სოციალურ, თანასაზოგადოებებისა და პოპულაციების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანას. <p>მეორე ნაწილი:</p>

	<ul style="list-style-type: none"> ✓ თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, რომელიც შეძლებს, მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ✓ თანამედროვე სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს საკვლევე სინჯების აღებას, საანალიზოდ მომზადებას, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ანალიზების ჩატარებას და მიღებული შედეგების განზოგადებას.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პირველი ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ეკოსისტემების ტიპების, სტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურებების, ბიომების გავრცელების კანონზომიერებების, დაცვის სტრატეგიების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ბუნებათსარგებლო-ბის, რადიაციული, ეკოტოქსიკოლოგიური და ბიოუსაფრ-თხოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ; ✓ ეცოდინება ცოცხალი და არაცოცხალი გარემოს ორგანული და არაორგანული, ბიოლოგიური ტოქსიკანტების ტოქსიკურობის დოზა და ეფექტი. ცოცხალ ორგანიზმებში, პოპულაციებსა და თანასაზოგადოებებში ქიმიური ტოქსიკანტების შეღწევადო-ბისა და უჯრედულ, ორგანიზმულ, პოპულაციურ, ბიოსფერულ დონეზე ტოქსიკური მოქმედების გზები; ✓ ეცოდინება ეკოლოგიური ეთიკის ძირითადი ნორმები და პრინციპები; გარემოს დაცვის თანამედროვე პრობლემების კვლევის, ანალიზის, შეფასების და გადაჭრის მეთოდები. ✓ შეძლებს ბიოლოგიურ მონაცემთა ბაზებისა და კომპი-უტერულ-სტატისტიკური პროგრამების, გარემოს დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებას. ეკოსისტემებში მიმდინარე ცვლილებების, მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების, შეფასებას; ✓ შეეძლება გარემოზე ბუნებრივი კატასტროფების, თანამედ-როვე სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოში ადამიანის ქცევის, ეკოლოგიური, სოციალური და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების უარყოფითი შედეგების შეფასება/პროგნოზირება; ✓ შეეძლება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების გამოყენება, მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედების შედეგად ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების შეფასება. <p>მეორე ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შეძლებს კლიმატის ცვლილებებისა და გლობალური დათბო-ბის გამომწვევი ფაქტორების, ეკოსისტემაში მიმდინარე ცვლილებების, მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების, შეფასებას; ✓ შეძლებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას სამეცნიერო ეთიკის ძირითადი პრინციპებისა და ციტირების კულტურის დაცვით.

განახლებულია 01.05.2026 წ.

	<ul style="list-style-type: none">✓ ეცოდინება გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე პრობლემების კვლევის, ანალიზის, შეფასების და გადაჭრის მეთოდები; ექსპერიმენტის დაგეგმვა, ლაბორატო-რიული ანალიზების ჩატარება და სათანადო დასკვნის გაკეთება, გარემოს მდგომარეობის კონტროლი, ექსპერტიზა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება.✓ შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება, შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის განსაზღვრა.
--	---